ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ქ. ონი

N 858
20/05/2018

858-02-4-201805202237

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ს წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 106[1] მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ს (ს/კ 237978471) ახალი წესდება თანდართული რედაქციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 12 იანვრის N15 ბრძანებით დამტკიცებული წესდება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

დამტკიცებულია
ონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის
20 მაისის N 858 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ არის ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის სრული სახელწოდებაა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“.

2.არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები, მრგვალი ბეჭედი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

3. „ ონის მუნიცპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

4.“ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ წესდებით და „ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ შინაგანაწესით.

5. „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ მუშაობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“, საქართველოს კანონებით „მუზეუმების შესახებ“ და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ამ წესდებით და მის სფეროს მიკუთვნებული საქართველოს სხვა მოქმედ კანონმდებლობათა შესაბამისად.

6. „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ს იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ონი, რუსთაველის ქუჩა N 26.

7. ელ. ფოსტა: onilocalmuseum@gmail.com . ტელეფონი - 591 93 37 37.

მუხლი 2.“ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ ძირითადი მიზნები და ამოცანები

1.“ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ ახორციელებს სამეცნიერო - კვლევით, კუტურულ - საგანმანათლებლო საქმიანობას, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, შეგროვება - აღრიცხვას, დაცვას, შესწავლას, ექსპონირებას და პოპულარიზაციას.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე

ამ მიზნის განსახორციელებლად:

ა) შეისწავლის მუნიციპალიტეტში ისტორიულ პროცესებთან დაკავშირებულ მოვლენებსა და მასთან დაკავშირებულ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, მის მნიშვნელობას და აკომპლექტებს მუზეუმის ფონდებს შესაბამისი მასალებით;

ბ)ქმნის ექსპოზიციებს, სტაციონალურ და მოძრავ გამოფენებს, რომლებიც ემსახურება მოსახლეობის სამეცნიერო - საგანმანათლებლო და იდეურ - აღმზრდელობითი მიმართულებით მუშაობას;

გ)პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალიტეტის ისტორიასთან და დღევანდელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს;

დ) მონაწილეობს ონის მუნიციპალიტეტის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნასა და განვითარებაში;

ე)ახდენს მუზეუმში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების პოპულარიზაციას;

ვ) მკაცრად აღრიცხავს მუზეუმის ფონდებში დაცულ კულტურულ ფასეულობებს, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, კულტურის უძრავი ძეგლების ფრაგმენტულ ნაწილებს და კულტურის ძეგლის ნიშნის მქონე ანტიკვარულ საგნებს;

ზ) დადგენილი წესით აღრიცხავს სამუზეუმო ექსპონატებს ძირითად სააღრიცხვო დოკუმენტებში: ძირითად შემოსულობათა სააღრიცხვო წიგნი, მუზეუმის საინვენტარო წიგნი, სამეცნიერო - დამხმარე წიგნი, დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი, ძვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვის სპეციალური წიგნი, სამუზეუმო ექსპონატის მიღება - ჩაბარების აქტები, სამუზეუმო ექსპონატების სამეცნიერო პასპორტები;

თ)უზრუნველყოფს სამუზეუმო ექსპონატების მკაცრ დაცვას;

ი) ახორციელებს სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაციას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ სპეციალურ სარესტავრაციო ცენტრებში;

კ) უზრუნველყოფს სამუზეუმო ექსპონატებთან სამუზეუმო საქმის სპეციალისტების დაშვებას მათი მდგომარეობის შემოწმების მიზნით და იღებს ყველა საჭირო ზომებს ექსპონატების ტექნიკური დაცვის უზრუნველსაყოფად;

ლ) სამუზეუმო ექსპონატის გასხვისების შემთხვევაში მკაცრად იცავს კანონის მოთხოვნებს;

მ) აწყობს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კონფერენციებს, სამეცნიერო ლიტერატურის განხილვებს, სხვადასხვა სახის გამოფენებს და სხვა

მუხლი 3. "ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" მართვა

1."ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ონის მუნიციპალიტეტის მერი.

მუნიციპალიტეტის მერი:

ე. საბანაძე

2."ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და საშტატო რიცხოვნებას და დასამტკიცებლად წარუდგენს ონის მუნიციპალიტეტის მერს;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზემის" შინაგანაწესს, რომელსაც დამტკიცებამდე ორი კვირით ადრე გასაცნობად წარუდგენს მუშა - მოსამსახურეებს. მუშა - მოსამსახურეთა წინადადებები და რეკომენდაციები სავალდებულოა დირექტორისათვის გასათვალისწინებლად, თუ ისინი პირდაპირ გამომდინარეობს კანონმდებლობიდან.

გ)მუნიციპალიტეტის მერის თანხმობის შემდეგ, უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

დ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ე) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ვ) წარმართავს და ორგანიზებას უკეთებს „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის ეფექტურობასა და კანონიერებაზე";

ვ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ქონებას და სახსრებს. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე;

ზ)"ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" დირექტორი იღებს თანამშრომლებს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ)კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ი)წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

3. „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" სხვა თანამშრომელთა უფლება - მოვალეობები განისაზღვრება „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" შინაგანაწესით.

მუნიციპალიტეტის მერია:
ე.ხაზანაძე

მუხლი 4. ფინანსური სახსრები

1. „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ ფინანსური წყაროებია:
ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
ბ)გრანტით მიღებული, შემოწირულობების და საჩუქრის სახით მიღებული შემოსავალი;
გ)საქართველოს და უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადმოცემული ქონება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

მუხლი 5. „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ ზედამხედველობა

1.“ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ მუშაობაზე ზედამხედველობა გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონთან მიზანშეწონილობის, სამუზეუმო საქმიანობის ეფექტურობის, საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზედამხედველობას ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერია, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.
3. მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია გამოითხოვოს მასალები და ინფორმაციები, ან შესაბამისი სამსახურის მიერ ადგილზე შეისწავლოს „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ საქმიანობა.

მუხლი 6. ლიკვიდაცია/ რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს ონის მუნიციპლიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი7. “ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე